

Rostom Chkheidze

Doctor of Philology, Professor,
Member of Parliament of Georgia from 2020 onward

**A NEW APPROACH TO THE STUDY OF THE
“CHRONICLE OF KARTLI”: FOLLOWING
DAVID KARTVELISHVILI’S ESSAY**

(Abstract)

KEYWORDS: Essay, Text, Censorship, Style, Modernist, Paradoxicality,
Time, Space, Realism, Experimental Style, Aesthetic Polemics

The article evaluates David Kartvelishvili’s essay, “Otar Chkheidze, the English Classic Novel, and More.” It highlights a crucial moment in Georgia’s early 1940s socio-political history, when Otar Chkheidze was poised for his literary debut. During this tumultuous period, socialist realism emerged as the Soviet Union’s sole official art form, with most artistic expression adhering to rigid conventions and serving primarily as a tool for implementing the Communist Party’s directives. Against this backdrop, Chkheidze confronted significant artistic constraints.

Amid these impediments, Otar Chkheidze needed to establish his writing principles, including style, structure, and other essential elements of literary craft. These aspects required ongoing development, refinement, and ultimate perfection, a process further complicated by the socio-political landscape.

Publishing in newspapers and magazines controlled by a totalitarian regime and subjected to Soviet censorship was exceptionally challenging. Writers also faced the significant risk of their works being met with indifference from publishing houses.

Otar Chkheidze's life and work are characterized by a unique paradox. He adeptly merged classical realism with experimental style, crafting a distinct artistic identity. David Kartvelishvili focuses on illustrating this complex personal and creative portrait amidst a brutally oppressive era. He delves into how Otar Chkheidze navigated the difficulties of his time, emphasizing the interplay between tradition and innovation in his writing.

Professor Rostom Chkheidze closely analyzes how Kartvelishvili employed various artistic and aesthetic techniques to achieve his goals. He commends Kartvelishvili's essay for its comprehensive internal structure, likening it to a monograph. Rostom Chkheidze notes that the essay encompasses a wide range of scientific, critical, and aesthetic insights within a concise framework of just a few pages. He concludes that the work would benefit only from additional illustrative materials to heighten its impact and effectiveness.

როსტომ ჩხეიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი (2020-დღემდე)

ახალი გზაბილიკი „მატიანე ქართლისაის“
შესწავლისას: დავით ქართველიშვილის მსხიის კვალზე

საკვანძო სიტყვები: ესეი, ტექსტი, ცენზურა, სტილი, მოდერნისტი, პარადოქსულობა, დრო, სივრცე, რეალიზმი, ექსპერიმენტული სტილი, ესთეტიკური პოლემიკა

სათაური ისეთია დავით ქართველიშვილის ესეისა: „ოთარ ჩხეიძე, ინგლისური კლასიკური რომანი და სხვა“¹ სადისერტაციო ნაშრომსა თუ მონოგრაფიას რომ შეეფერება და, რაც მთავარია: შინაგანი აღნაგობით არის მონოგრაფიის დასადარი, რამდენიმე ფურცელზე დაწერილი ვრცელი მეცნიერული თუ კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულების მონახაზი, რომელსაც დეტალიზება² და მასალებით შევსებაღა ესაჭიროება.

გახსენებელია ის უმძიმესი ხანა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როდესაც ოთარ ჩხეიძე უნდა გამოსულიყო სალიტერატურო ასპარეზზე: 1940-იანი წლების დასაწყისი, როდესაც სოციალისტური რეალიზმი ესთეტიკური გამოხატვის ერთადერთ ოფიციალურ ფორმად გამოცხადდებოდა საბჭოეთში და, მცირე გამონაკლისის გარდა, ხელოვნება მკაცრ ჩარჩოებში მოქცეულ სრულ პირობითობას დაემსგავსებოდა, პარტიულ დაკვეთათა აღმსრულებელს.

და უმცროსი თანამოკალმის მართებული ვარაუდით: სწორედ იმხანად უნდა ჩამოყალიბებულიყო ოთარ ჩხეიძის სამწერლო პრინციპებიც – სტილი, ტექსტის სტრუქტურული წყობა და სხვა თვით ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი, ხოლო მოყვარული მკითხველისათვის ხშირად მეორეხარისხოვანი და შეუმჩნეველი აუცილებლობები, რომელნიც თანდათან უნდა განვითარებულიყო, გაღრმავებულიყო და სრულყოფილებისთვისაც მიედწია. და ტოტალიტარული სისტემის მიერ მონოპოლიზებულ ჟურნალ-გაზეთებში უნდა გებეჭდა, მძლავრი, ჩეკისტური ცენზურით გამაგრებულში, ან არადა, შეგუებოდი ნაწერების გამოკეტვას უჯრაში.

უცნაურად მიიჩნევდა დავით ქართველიშვილი, რომ მკაფიო სამოქალაქო შეხედულებების მწვერალი თავისი დროის ყველაზე დიდი მოდერნისტიც აღმოჩნდებოდა და ეს რაღაც შემთხვევითობა სულაც არა ყოფილა. პარადოქსულობა, გარეგნულიც და იდუმალი ლოგიკით აღბეჭდილიც, გამოსდევს ოთარ ჩხეიძის ცხოვრებასაც და შემოქმედებასაც, რომელშიც ჰარმონიულად უნდა შერწყმულიყო კლასიკური რეალიზმი და ექსპერიმენტული სტილი.

ესეიში საგანგებოდ უნდა მოხსენიებულიყო ვასილ ბარნოვი, რომლისთვისაც ოთარ ჩხეიძეს ბიოგრაფიული რომანი³ მიეძღვნა და რომელსაც დიდი როლი უნდა ეთამაშა, როგორც ქართული პროზისა და ენობრივი სტილის განმაახლებელს.

საგანგებოდ მოხსენიებულიყო ვაჟა-ფშაველაც, ფშაურ დიალექტს ზოგადქართული ენობრივი სტილისათვის რომ გამოიყენებდა, ოთარ ჩხეიძეს

ამგვარივე დანიშნულება რომ უნდა დაეკისრებინა ქართული დიალექტისთვის.

საგანგებოდ მოხსენიებულიყო ჯეიმზ ჯოისიც, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მისგან გაცლასა და პიროვნული თავისუფლების გადარჩენას ამჯობინებდა.

თუმც, მიუხედავად მკვეთრი იდეური განსხვავებისა, ოთარ ჩხეიძის ბოლოდროინდელ პროზაში თავჩენილი ექსპერიმენტული პუნქტუაცია „ულისეთი“⁴ შთაგონებულიყო. ცხადია, პირდაპირ სულაც არ გაიმეორებდა ჯოისისეულ პუნქტუაციას.

არაერთ საგულისხმო მოსაზრებათაგან შეიძლება გამოიყოს თუნდ ეს შეხედულებაც – ოთარ ჩხეიძის რომანთა მონუმენტურ ციკლს „მატიანე ქართლისაი“⁵ უმცროსი თანამოკალმეც ასე რომ შეაფასებდა: მოიცავს საქართველოს ისტორიას გასაბჭოებიდან დამოუკიდებლობის პირველ წლებამდე⁶ თუმც მათი მოხსენიება ისტორიულ რომანებად⁷ არ უნდა იყოს სწორი, რადგან ავტორს აწმყო აინტერესებს და არა – წარსული, იგი აწმყოს მემატიანეა⁸ და არა – კოსტიუმირებული იგაგების ავტორი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ისტორიულ რომანებში.

მთავარი, ცხადია, კავშირის ძიებაა „მატიანე ქართლისასა“ და ვიქტორიანული ეპოქის რომანს შორის. ეპოქისა, რომლის პროზის ძირითად მახასიათებლებად წარმოდგებოდა: სოციალური რეალობა, მორალურ-ადმზრდელობითი ფუნქცია, ქალთა უფლებები, ყოფით-ეთიკური დილემა... და ადამიანის ცნობიერება მჭიდროდ რომ შეერწყმოდა ყოველდღიურობას, ღმერთსა და მარადისობას მიივიწყებდნენ.

კონტრასტული სურათი დაინახებოდა: საქართველოში ეს პროცესი არამარტო გვიან რომ დაიწყო, არამედ, ხელოვნურადაც, იძულებითაც და უკუღმაც – ბოლშევიკებს ჯერ ღმერთისა და მარადისობის დავიწყება უნდა მოეთხოვათ ხალხისათვის და მერე დაეწყოთ ფაბრიკა-ქარხნების გაშენება, როგორც დიდი გეგმის ნაწილი, საქართველო ცალკე რომ არც განიხილებოდა.

და ოთარ ჩხეიძეს ზუსტად იმ პერიოდის ასახვა რომ განეზრახა, მისი პერსონაჟები უპირველესად დროსა და სივრცეს უნდა გაეერთიანებინა; და საქართველოს პანორამული სურათის წარმოსახვა სწორედ XIX საუკუნის რომანის პრინციპებით მუშაობას მოითხოვდა.

თვალსაჩინოებისათვის დავით ქართველიშვილს უნდა მოეხმო ორი რომანი: „ბორიაცი“⁹ – ასერიგად გახმაურებული და შეფასებული XX საუკუნის ქართული რომანისტიკის მონაპოვრად; და „კვერნაქი“¹⁰ – შედარებით მიჩქმალული. თუმცა იმის გახსენებაც გასათვალისწინებელია, რომ ამ ეპიკურ ნიმუშს არანაკლებ საუკეთესოდ მიიჩნევდნენ გურამ გეგეშიძეც, ზურაბ კიკნაძეც და თამაზ ჩხენკელიც.

„კვერნაქს“ დავით ქართველიშვილი ეროტიკულ რომანად რომ მოიხსენიებდა, დასძენდა: ძალიან დელიკატური და ერთ-ერთი საუკეთესო ამ ჟანრშიო. და მიიჩნევდა, რომ როგორც გი დე მოპასანის ეროტიზმს უპირისპირდებოდა დევიდ ერბერტ ლოურენსის ეროტიზმი, ისე მიხეილ ჯავახიშვილისას – ოთარ ჩხეიძისა; ამ რომანს მიხეილ ჯავახიშვილთან ესთეტიკურ პოლემიკადაც რომ ივარაუდებდა. დამაფიქრებელი მოსაზრებაა, თანაც იმ ფონზე, როდესაც, როგორც

სატირიკოსი, ოთარ ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილის უშუალო ლიტერატურული მემკვიდრე გახლდათ.

ამ კუთხით – ესთეტიკურის თვალსაზრისით, შესაძლოა, გაგრძელდეს ძიება. განსაკუთრებით მაინც: ინგლისურ კლასიკურ რომანთან შედარება, დისერტანტებისათვის, არაოფიციალური ხელმძღვანელი დავით ქართველიშვილი რომ იქნება ამ არაორდინალური, მასშტაბური ესეით.

ლიტერატურა □ References

1. ქართველიშვილი დავით (2025, ნოემბერ-დეკემბერი). ოთარ ჩხეიძე, ინგლისური კლასიკური რომანი და სხვა:ც. შურნ. „ქართული მწერლობა“.
2. ტყეშელაშვილი დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი (მეორე გადაშუქავებული გამოცემა). თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 159-230.
3. ჩხეიძე ოთარ (1989). ბარნოვი. თბილისი: „ნაკადული“.
4. ჯოსი ჯემზ (2012). ულისე. მთარგმნელები: ნიკო და მათა ყიასაშვილები. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
5. ჩხეიძე ოთარ (1994). არტისტული გადატრიალება. თბილისი: „ლომისი“.
6. ჩხეიძე ოთარ (2022). 2001 წელი (რომანი). თბილისი: „პალიტრა L“.
7. ჩხეიძე ოთარ (1999). თეთრი დათვი. თბილისი: „ლომისი“.
8. ჩხეიძე ოთარ (2005). ლაზერშოუ. თბილისი: საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი.
9. ჩხეიძე ოთარ (2022). ბორიაცი. თბილისი: „ინტელექტი“.
10. ჩხეიძე ოთარ (1990). აღმართ-აღმართი; კვერნაქი; ღანდები (სამი რომანი). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.